გარე მიგრაციას კვლავ 2020 წლამდე ექნება მოსახლეობაში დიდი ხვედრითი წილი, ანუ დიდი რაოდენობით მოხდება მოსახლეობის გადინება ქვეყნიდან.

ამ პერიოდისთვის შემცირდება ჩვილთა მოკვდაობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მოიმატებს საგრძნობლად.

დემოგრაფიული ვითარება საქართველოში ძანიან მძიმეა მაღალ მთიან რეგიონებში რაზეც ვრცლად ვისაუბრებთ და რა მდგომარეობაა დღესდღეისობით მძიმე სურათია რაჭა - ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, ასევე ხუთ რეგიონში საქ სტატის მონაცემებით ესენია: გურია ,იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი და სამეგრელო ზემო სვანეთი

ქართული სოფელი ყოველთვის იყო ძლიერი საქრდენი ქვეყნის . როდესაც სოფელი ძლიერია ქვეყანა მყარი და გამოკვებილია ყველაფერი დალაგებულია.

საქ სტატის 2014 წლის მონაცემებით 3 633 სოფელი აღურცხა ხოლო მოსახლეობა 2002 წელთან შედარებით შემცირებულია თითმის ნახევარი მილიონით.. მოსახლეობამ შეადიგნა 1 591 000 ადამიანი.

დიდი რაოდენობითაა სოფელი დაცლილი და გაუკაცრიელებული 223 სოფელში მოსახლეობა აღარ ცხოვრობს საქ სტატის მონაცემებით.

განსაკუთრებით საგანგაშოა რაჭა- ლეჩხუმის , თუშეთის, ფშავის ხევსურეთის და სხვა მთიანი სოფლების მდგომარეობა . 1939 წლის მონაცემებით რაჭაში 67 ათასი კაცი ცხოვრობდა ხოლო ამჟამად 17,2 ათასი ცხოვრობს.

3.3

საქართველოს მოსახლეობის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივები.

საქართველოს მოსახლეობა ფაქტიურად დემოგრაფიული დაცემის მოლოდინშია რაზეც მეტყველებს როგორც გაეროს ექსპერტთა ისე ქართველ ექსპერტთა და დემოგრაფთა შეფასებები:

ვინაიდან შობადობა ყოველწლიურად მცირდება, ისზრდება სიკვდილიანობა და ემიგრანთა რიცხვიც მაღალია ამ ტემპით თუ ვიმსჯელებთ დემოგრაფიული განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივა ფაქტიურად მოსახლეობის დიდი რაოდენობით კლებას და მოსახლეობის შემცირებას გამოწვევს როგორც ქართველ ექსპერტებს აქვთ შეფასება გრძელვადიან პერსექტივაში .

საქართველოს მოსახლეობის განვითარების პერსპექტივები 2050-2100 წლებში გიორგი წულაძის ნაშრომი:

მოსახლეობა

გაეროს ექსპერტების აზრით, პროგნოზის საშუალო ვარიანტიდან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 2050-2100 წლებში მუდმივ კლებას განიცდის.

2100 წლისათვის 2050 წელთან შედარებით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 819 ათასით შემცირდება და მხოლოდ 2 მლნ. 300 ათასზე რამდენადმემეტი იქნება. ამასთან, საკმაოდ საინტერესო იქნება მოსახლეობის ასაკობრივისტრუქტურის ცვლილება. 2065 წლიდან 15 და ნაკლები ასაკის მოსახლეობის მუდმივ მატებას ექნება ადგილი. 2050-2100 წლებში 15-64 წლის ასაკის მოსახლეობა 57-59%-ის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობას (იხ. დიაგრამა 26), დემოგრაფიული დაბერების პროცესი 2050-2060 წლებში საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს. შემდეგ პერიოდში 2065 წლისათვის დაბერების დონე კლებულობს და შემდგომ მერყეობს 27-28 %-ის ფარგლებში. ზემოთ მოტანილის მიზეზებს მოგვიანებით განვიხილავთ.³⁴

შობადობა

უნდა აღინიშნოს, რომ პროგნოზის სხვადასხვა ვარიანტით მიღებულ როგორც ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობაში, ისე შობადობის ზოგადი კოეფიციენტის () შემთხვევაში მნიშვნელოვანი განსხვავებებია. მაგალითად, პროგნოზის დაბალი ვარიანტით 2100 წლისათვის საქართველოში მხოლოდ 8 ათას ცოცხლად დაბადებულს ვარაუდობენ საშუალოდ წელიწადში, მაშინ როდესაც პროგნოზის მაღალი ვარიანტით იმავე დროისათვის 61 ათასს. როგორც ზემოთ ითქვა, ქვემოთ ჩვენ პროგნოზის საშუალო ვარიანტი თვის არგებლებთ. მის შემთხვევაში ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა საქართველოში მცირდება 28 ათასიდან 25 ათასამდე. იგი სტაბილიზირდება 2085 წლისათვის. რაც შეეხება შობადობის ზოგად კოეფიციენტს, რომლის დინამიკა დიაგრამაზეა (27) გამოსახული, ის მუდმივ ზრდას განიცდის და მაქსიმუმს აღწევს 2100 წლისათვის. გაეროს ექსპერტების ვარაუდით 2050 წლის შემდეგ მოსალოდნელია შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მატება. აღნიშნულ მატებასთან დათანხობითი და უმნიშვნელო ხასიათი ექნება. 2050-2100 წლების

³⁴(ვადაჭკორია, 2003)

პერიოდშიპროგნოზის სამუალო ვარიანტით ეს მატება მხოლოდ 0,21 ბავშვს შეადგენს. ამასთან, 2100 წლისათვის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მიღწეული დონე(2) მაინც საკმარისი არ იქნება თაობათა განახლებისათვის (იხ. დიაგრამა 28).³⁵

აღსანიშნავია, რომ როდესაც ზემოთ საუბარი იყო 15 წლისა და უმცროსი ასაკის მოსახლეობის წილის ზრდაზე და 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის თავისებურ ტრენდზე, ეს სწორედ შობადობის მატებისაგან გამომდინარეობს. მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლივობაგაეროს პროგნოზის როგორც სამუალო, ისე სხვა ვარიანტებიდან გამომდინარეობს, რომ გარდაცვლილთა რაოდენობა და მოკვდაობის კოეფიციენტი მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით დროთა განმავლობაში კლებას განიცდის. ქვემოთ მოტანილი დიაგრამა გვიჩვენებს გარდაცვლილთა რაოდენობისა და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკას პროგნოზის სამუალო ვარიანტით. ასეთი მდგომარეობა ძირითადად ორი მიზეზით არის გამოწვეული: 1. მოსახლეობის რაოდენობის შემცირებით და 2. მოკვდაობის ინტენსივობის შემცირებით. გაეროს ექსპერტების ვარაუდით მნიშვნელოვან კლებას განიცდის ჩვილთა მოკვდაობა. ამასთან, პროგნოზის ყველა ვარიანტი ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის ერთნაირი სიდიდის დინამიკას გულისხმობს 2100 წლისათვის 2050 წელთან შედარებით გაეროს ექსპერტების ვარაუდით ჩვილთა მოკვდაობა საქართველოში თითქმის 2-ჯერ შემცირდება. მიუხედავად ამისა, მისი დონე მეტი იქნება, ვიდრე სადღეისოდ არის ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში.³⁶

ისე როგორც ჩვილთა მოკვდაობის შემთხვევაში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის დაბადებისას დროსაც პროგნოზის ყველა ვარიანტი ერთ სიდიდეს ითვალისწინებს და ამდენად ისინი მსგავსია. მოსალოდნელია, რომ 2100 წელს 2050 წელთან შედარებით, სიცოცხლი მოსალოდნელი ხანგრძლივობა საქართველოში ორივე სქესისათვის გაიზრდება 4,4 წლით და მიაღწევს 84 წელს. ქალების შემთხვევაში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა გაიზრდება 4,5 წლით და გადააჭარბებს 86 წელს, ხოლო მამაკაცების მოიმატებს 4,8 წლით და გადააჭარბებს 81 წელს. სხვაობა ქალებისა და მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის

³⁵(წულაძე, 2013)

³⁶(წულაძე, 2013)

რამდენადმე შემცირდება (5,7 წლიდან 5,4 წლამდე) მოსახლეობის ბუნებრივი მატება, აღწარმოება და ცვლილებამოცემულ შემთხვევაშიც ჩვენ ვიხელმძღვანელებთ გაეროს ექსპერტების მიერშესრულებული პროგნოზის საშუალო ვარიანტით. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მაღალი ვარიანტის მონაცემებს თუ არჩავთვლით, რომლის დროსაც ბუნებრივ მატებას დადებითი მნიშვნელობა აქვს დაამასთან, დროთა განმავლობაში იზრდება, პროგნოზის სხვა ვარიანტებისასბუნებრივი მატების მნიშვნელობა უარყოფითია, თუმცა მისი სიდიდე დროთაგანმავლობაში მცირდება.³⁷

აღნიშნულ მდგომარეობას განაპირობებს შობადობის მატება და მოკვდაობისშემცირება მოსახლეობის 1000 სულზე, თუმცა მიუხედავად ამისა, მოკვდაობა მეტიაშობადობაზე და ამდენად მოსახლეობის კლებას აქვს ადგილი. უკვე მოტანილიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსახლეობის აღწარმოებისბრუტო და ნეტო კოეფიციენტები საქართველოში ვერ უზრუნველყოფენმოსახლეობის მარტივ აღწარმოებასაც კი და ამდენად, 2050-2100 წლებშიშეკვეცილი აღწარმოების რეჟიმი იქნება დამკვიდრებული.მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ მოსალოდნელია მოსახლეობისაღწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტების თანდათანობითი, მაგრამ მუდმივიმატება და მათი დონეების მიახლოება მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისზღვართან. 2050-2100 წლების პერიოდისათვის დამახასიათებელი იქნება მოსახლეობისაღწარმოების რეჟიმის ძალიან მაღალი ეკონომიურობა. რაც შეეხება მოსახლეობის ცვლილებას, 2050-2100 წლებისათვისსაქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შემცირდება, თუმცა ცვლილებისმაჩვენებელი დროთა განმავლობაში მუდმივ კლებას განიცდის. მოსახლეობისცვლილების თვალსაზრისით, საშუალოდ წელიწადში, 2100 წლისათვის (-8 ათასი) საქართველო 3-ჯერნაკლებ მოსახლეობის რაოდენობას დაკარგავს 2050 წელთან(-23 ათასი) შედარებით. ბუნებრივია, აბსოლუტური რაოდენობის შემცირებასმოჰყვება კოეფიციენტის კლებაც. გაეროს ექსპერტების ვარაუდით 2100 წლის შემდეგ 2150 წლამდესაქართველოს მოსახლეობის რაოდენობა კლებას განიცდის, ხოლო შემდეგ ისმატების ტენდენციით ხასიათდება, თუმცა მატების ტემპი საკმაოდ დაბალია. 2300წლისათვის 2100 წელთანშედარებით

³⁷(წულაძე, 2013)

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასავარაუდოდ დაახლოებით 200 ათასით გაიზრდება.³⁸

მოსალოდნელია, რომ 2100 წლიდან 2300 წლამდე 4 წლით გაიზრდებასაქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი (შესაბამისად 44,2 წლიდან 48,3 წლამდე). აღსანიშნავია, რომ 2010 წლის გადასინჯვის საშუალო ვარიანტით, 2100 წლისათვის, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 2,4 მილიონის ფარგლებშიანავარაუდები, ხოლო მედიანური ასაკი – 46,0 წელი. გაეროს ექსპერტების პროგნოზით, 2100-2300 წლების პერიოდში, შობადობისჯამობრივი კოეფიციენტი საქართველოში 2,06-2,07-ის ფარგლებში იქნება. რაც შეეხება სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას დაბადებისას, მოსალოდნელიამისი ზრდა როგორც მამაკაცებისათვის, ისე ქალებისათვის. 2300 წელს 2100 წელთან შედარებით მამაკაცებისათვის სიცოცხლის მოსალოდნელიხანგრძლივობა სავარაუდოდ საშუალოდ 13,1 წლით, ხოლო ქალებისათვის – 11,1 წლით გაიზრდება. ამასთან, სხვაობაქალებისა და მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელხანგრძლივობას შორის დროთა განმავლობაში თანდათან მცირდება. 2100 წელთანშედარებით 2300 წლისათვის, ნავარაუდევია აღნიშნული სხვაობის 2 წლითშემცირება (4,8 წლიდან 2,8 წლამდე).³⁹

3

³⁸(წულაძე, 2013)

³⁹(წულაძე, 2013)

დემოგრაფიული პოლიტიკა როგორც დემოგრაფიული ვითარების გამოსწორების აუცილებელი პირობა.

როგორც აღვნიშნეთ დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება ძირითადად მიმართულია შობადობის მატებაზე . ასევე საჭიროა მიგრაციის კუთხით შხედვა ქრიწინებების და განქორწინებების განხილვა.

დემოგრაფიული პოლიტიკა წარმოადგენს ღონისძიებათა კომპლექსს, მიმართულს დემოგრაფიული პროცესების ისეთი რეგულირებისაკენ, რომელიც საზოგადოების მოთხოვნებიდან გამომდინარეობს.

დემოგრაფიული პოლიტიკის ობიექტია მოსახლეობის აღწარმოება. დემოგრაფიული პოლიტიკა მიმართულია პერსპექტივაში მოსახლეობის აღწარმოების სასურველირეჟიმის მიღწევისაკენ. დემოგრაფიული პოლიტიკა არ უნდა გავაიგივოთ სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკასთან, ან არ უნდა მივიჩნიოთ მარტოდენ მის ნაწილად. დემოგრაფიულ პოლიტიკად მხოლოდ ის მიზანდასახული ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს, რომლებიც გამიზნულია მოსახლეობის აღწარმოების პროცესზე ზემოქმედებისაკენ. ამასთან, ასეთი სახით წარმოდგენილი დემოგრაფიული პოლიტიკა შეიძლება დავყოთ: 1. სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია დემოგრაფიული პროცესების რეგულირებისაკენ და გულისხმობენ სხვადასხვა სახის დახმარებებს, პირობების შექმნას და ა.შ. 2. უშუალოდ დემოგრაფიული პოლიტიკა .⁴⁰

ღონისძიებები გამიზნული დემოგრაფიული პროცესებისგანმსაზღვრელ შინაგან ფაქტორებზეზემოქმედებისათვის.დემოგრაფიულ პოლიტიკას არ მიეკუთვნებაზოგადადსოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ისეთიღონისძიებები, რომლებსაც ამა თუ იმ სახით ან ზომითშეიძლება გავლენა ჰქონდეთ მოსახლეობისაღწარმოებაზე, მაგრამ დემოგრაფიულ პროცესებზეზემოქმედებას თავის კონკრეტულ მიზნად არ ისახავენდემოგრაფიული პოლიტიკის მეთოდები შეიძლებადავყოთ: სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი,აღმზრდელობით-ფსიქოლოგიური. სოციალურეკონომიკურსმიეკუთვნება ოჯახის ცხოვრებისპირობების

⁴⁰(წულაძე, 2013)

გაუმჯობესება, ერთჯერადი და პერიოდულიმატერიალური დახმარება, სესხები და სხვა.სამართლებრივი – ნების მიმცემი ანამკრძალავი აქტები,რომლებიც ეხება მაგ., აბორტებს ან კონტრაცეპტივებისგაყიდვასქორწინების ასაკს და სხვა. აღმზრდელითფსიქოლოგიური – მასობრივი ინფორმაციის ან სხვასაშუალებებით ოჯახის სასურველი ტიპის,რეპროდუქციული ქცევის გარკვეული სტანდარტების დაა.შ. პროპაგანდა – ფიქსაცია.⁴¹

დემოგრაფიული პოლიტიკა და მისი კონკრეტულიღონისძიებები ბევრად არის დამოკიდებული რომელიმექვეყანაში შექმნილი დემოგრაფიული ვითარებისსახელმწიფოებრივ შეფასებაზე. სხვადასხვა ქვეყანაშიარსებული მსგავსი დემოგრაფიული ვითარების (ანდემოგრაფიული პროცესის მიმდინარეობის)სახელმწიფოებრივი შეფასება შეიძლებაგანსხვავდებოდეს, რაც იწვევს განსხვავებას როგორცდემოგრაფიული პოლიტიკის ორკიენტაციაში, ისე თვითდემოგრაფიული პოლიტიკის გატარების აუცილებლობაში.⁴²

დემოგრაფიული პოლიტიკა ყველა სახელწიფოში და მათ შორის საქართველოში ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანი წინაპირობაა მოსახლეობის განვითარების.

ამ თავში ვისაუბრებთ დემოგრაფიული პოლიტიკის რლზე ჩვენი ქვეყნის განვითარებაში . დემოგრაფიული პოლიტიკა როგორც ასეტი უდნა გატარდეს შობადობის ღონის ამტება დღვანდელ ფონზე, ასევე ქორწინების კონტროლი ქორწინებების მატება და მტკიცე ოჯახი. ასევე ჯანდაცვა და ჯანმრთლობის კონტროლი, ასევე მიგრაციების კონტროლი.

ოდითგანვე ძველი ფილოსოფოსები სახელმწიფოს განითარებაში ხედავდნენ დემოგრაფიულ განვითარებას და მოსახლეობით სახელმწიფოს სწორ მოწყობას.

მოსახლეობის განვითარებისთვის საქართველოში შემუშვებულია კანონმდებლობა

საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ

⁴¹(წულაძე, 2013)
⁴²(სულაბერიძე, 2015)

აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული მდგრადი განვითარებისათვის 2030 წლის დღის წესრიგის მიზნების, ამოცანებისა და პრინციპების, შესაბამისად. ეს კონცეფცია განსაზღვრავს საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებსა და ძირითად მიმართულებებს. იგი არის ორიენტირი საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებებისათვის.⁴³

საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის ძირითადი მიზნებია:

- ა) ქვეყანაში მოსალოდნელი მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების (დეპოპულაციის) შეჩერება;
- ბ) საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის რა-ცი-ონალიზაციით ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის სტაბილი-ზაცია;
- გ) ქვეყნის მოსახლეობის ბოლოდროინდელ და მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად და შესაძლებლობების გამოსაყენებლად ერთიანი კონცეპტუალური მიდგომის ჩამოყალიბება და ამით ეროვნული უსაფრთხოების სფეროში არსებული და შესაძლო რისკების თავიდან აცილება.⁴⁴

საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია:

- ა) საზოგადოების მდგრადი განვითარება;
- ბ) ადამიანის უფლებებისა და ღირსების პატივისცემა;
- გ) გენდერული და ასაკობრივი თანასწორობა და სამართლიანობა;
- დ) ადამიანის განვითარება მთელი სიცოცხლის განმავლობაში;

⁴³(წულაძე, 2013)

⁴⁴(დადგენილება, 2016)

- ე) ყველა ეროვნული და საერთაშორისო დაინტერესებული მხარის თანამშრომლობაზე დამყარებული პარტნიორობა;
- ვ) დემოგრაფიული განათლების ფართო საზოგადოებაში დანერგვის უზრუნველყოფა; მაღალი კვალიფიკაციის, პროფესიონალ დემოგრაფთა მომზადებისა და აღზრდის სისტემის ჩამოყალიბება;
- ზ) ოჯახის სტაბილურობის ხელშეწყობა და ქორწინების ინსტიტუტის განმტკიცება;
- თ) ფაქტებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება;
- ი) დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის ღიაობა და ინკლუზიურობა.⁴⁵

კანონმდებლობის მიხედვით დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის პრიორიტეტებს განსაზღვრავს შემდეგი პუნქტები:

1. შობადობა, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა

1.1. მოსახლეობის აღწარმოებისა და შობადობის ზრდა

მოსახლეობის აღწარმოებისა და შობადობის ზრდის სფეროში სახელმწიფოს პრიორიტეტებია: ⁴⁶

- ა) ბავშვზე ორიენტირებული და ოჯახების ხელშეწყობი პოლიტიკის გაზრდა;
- ბ) ბავშვებზე გამოყოფილი დახმარებების/შემწეობების გაზრდა და ბავშვთა აღზრდისა და მოვლის ხარჯების ანაზღაურებაში მონაწილეობისთვის ზომების მიღება;

⁴⁵(დადგენილება, 2016)

⁴⁶(დადგენილება, 2016)

გ) ოჯახის წევრების ხელშეწყობა სამსახურებრივი და ოჯახური მოვალეობების შესრულების შეთავსებაში;

დ) დედის/მამის მიერ დეკრეტული შვებულებით სარგებლობის პროგრამის ხელშეწყობა; კერძო სექტორთან თანამშრომლობა დედების მიერ დეკრეტული შვებულებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად და ამ პერიოდში მათთვის სამუშაო ადგილის შესანარჩუნებლად;

ე) პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იმის თაობაზე, რომ ოჯახი არის საზოგადოების საბაზისო ინსტიტუტი, რომელიც თავისი მნიშვნელოვანი როლის შესასრულებად დახმარებას საჭიროებს;

ვ) საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა ოჯახის ხელშეწყობის პროგრამების შესახებ, განსაკუთრებით იმ პროგრამების თაობაზე, რომლებიც ბავშვის დაბადების შემდგომ პერიოდშია ხელმისაწვდომი

ზ) განათლების, მათ შორის, პროფესიული განათლების და უმაღლესი განათლების, ხარისხის გაუმჯობესება, აგრეთვე ახალგაზრდების ხელშეწყობა სკოლიდან სამსახურში გადანაცვლების პროცესში;

თ) ახალგაზრდებისთვის დასაქმების შესაძლებლობების შეთავაზება მათი უმუშევრობის დონის შემცირებისათვის.⁴⁷

1.3. რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების, ინფორმაციისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა⁴⁸

რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების, ინფორმაციისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის სფეროში სახელმწიფოს პრიორიტეტებია: ა) ყველა ორსულისათვის უსაფრთხო ორსულობისა და მშობიარობის უზრუნველყოფა ორსულობის სხვადასხვა ეტაპზე, რეგულარულად

⁴⁷(დადგენილება, 2016)

⁴⁸(დადგენილება, 2016)

უფასო კონსულტაციების, გამოკვლევებისა და მკურნალობის შესაძლებლობის მიცემით;

ბ) აბორტების რაოდენობის შემცირება; ქალებისა და მამაკაცებისთვის უშვილობის თავიდან აცილებისა და მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა შემდეგი საშუალებებით:

ბ.ა) რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის და ოჯახის დაგეგმვის მომსახურებების მიღების და მათზე მოთხოვნილების შექმნის უზრუნველყოფა; განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს საჯარო ინფორმაციაზე, განათლებასა და კომუნიკაციაზე, რაც ადამიანებს შესაძლებლობას მისცემს, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება თავიანთი სექსუალური და რეპროდუქციული ცხოვრებისა და უფლებების შესახებ;

ბ.ბ) საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამასა და სამედიცინო დაზღვევის საბაზისო პაკეტებში ახალგაზრდებზე ორიენტირებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ჩართვა;

ბ.გ) სამედიცინო მიზეზით განპირობებული ისეთი აბორტის პრევენცია, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელია; აბორტის, როგორც ოჯახის დაგეგმვის საშუალების, რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება, განსაკუთრებით – მოზარდებსა და ახალგაზრდებში;

ბ.დ) რეპროდუქციული სისტემის ავთვისებიანი სიმსივნეების პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამების გაძლიერება;

გ) სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციისა და მკურნალობის გაუმჯობესება და ქვეყანაში აივ ინფექციის/შიდსის გავრცელების დაბალი მაჩვენებლის

შენარჩუნება, განსაკუთრებით – დაავადების რისკის ქვეშ მყოფ მოსახლეობაში, მათ შორის, ახალგაზრდებში (სკოლაში და სკოლის გარეთ).⁴⁹

1.4. ოჯახის შექმნის, შობადობის განვითარებისა და ბავშვთა კეთილდღეობის სფეროებზე საქართველოს მთავრობის სხვადასხვა ღონისძიების გავლენის მუდმივი მონიტორინგის ოჯახის შექმნის, შობადობის განვითარებისა და ბავშვთა კეთილდღეობის სფეროებზე საქართველოს მთავრობის სხვადასხვა ღონისძიების გავლენის მუდმივი მონიტორინგის პრიორიტეტებია.⁵⁰

ა) შობადობის განვითარების რეგულარული მონიტორინგი მოსახლეობის აღწერის მონაცემებისა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის გაუმჯობესებული სისტემის მეშვეობით;

ბ) შობადობასა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის (როგორებიცაა შრომის ბაზრის რეგულაციები, საბინაო პოლიტიკა და სხვა) შესაძლო გავლენის მონიტორინგი და შეფასება;

გ) შესაბამის პოლიტიკასა და პროგრამებში შობადობისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მეინსტრიმინგი.

1.5. შობადობისა და სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებები

შობადობისა და სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებებია.⁵¹

⁴⁹

⁵⁰(დადგენილება, 2016)

⁵¹(დადგენილება, 2016)

ა) ზრდასრულ ასაკში გადასვლის, შობადობასთან დაკავშირებული ქცევის და ოჯახის სტრუქტურის აღწერა საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების გამოყენებით;

ბ) შობადობის განვითარებაზე სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა ღონისძიების გავლენის მონიტორინგი და შეფასება;

გ) რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში კვლევის პროგრამის შემუშავების ხელშეწყობა.

საქართველოში შობადობის მაჩვენებლების რამდენიმე შეფასება არსებობს. მოსახლეობის აღწერის მონაცემთა შობადობის მაჩვენებლების, ქორწინებათა რაოდენობისა და ოჯახის სტრუქტურის მიხედვით შეფასება და მონაცემთა რეგიონების, დასახლებების ტიპების, განათლების დონისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით კლასიფიცირება შესაძლებელს გახდის, მიღებულ იქნეს უფრო დაწვრილებითი სურათი საქართველოს საზოგადოების რეპროდუქციული ქცევის შესახებ და შემუშავდეს შესაბამისი ღონისძიებები პოლიტიკის დონეზე.

1.5. შობადობისა და სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებები

შობადობისა და სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებებია:

ა) ზრდასრულ ასაკში გადასვლის, შობადობასთან დაკავშირებული ქცევის და ოჯახის სტრუქტურის აღწერა საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების გამოყენებით;

ბ) შობადობის განვითარებაზე სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა ღონისძიების გავლენის მონიტორინგი და შეფასება;

გ) რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში კვლევის პროგრამის შემუშავების ხელშეწყობა.

საქართველოში შობადობის მაჩვენებლების რამდენიმე შეფასება არსებობს. მოსახლეობის აღწერის მონაცემთა შობადობის მაჩვენებლების, ქორწინებათა რაოდენობისა და ოჯახის სტრუქტურის მიხედვით შეფასება და მონაცემთა რეგიონების, დასახლებების ტიპების, განათლების დონისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით კლასიფიცირება შესაძლებელს გახდის, მიღებულ იქნეს უფრო დაწვრილებითი სურათი საქართველოს საზოგადოების რეპროდუქციული ქცევის შესახებ და შემუშავდეს შესაბამისი ღონისძიებები პოლიტიკის დონეზე.⁵²

2. ავადობა და სიკვდილიანობა

2.1. სარეგისტრაციო ჩანაწერის საფუძველზე ზუსტი, სრული და დროული დემოგრაფიული სტატისტიკური მონაცემების (მათ შორის, გარდაცვალების მიზეზების შესახებ მონაცემების) მომზადება

2.2. ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიანი სერვისების საყოველთაო ხელმისაწვდომობა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მიერ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანების საჭიროებებზე ქმედითი და სამართლიანი რეაგირება

2.3. ადამიანური რესურსების გაძლიერება კარგად მართული, ეფექტიანი და მოტივირებული ჯანმრთელობის დაცვის პერსონალით

2.4. ავადობისა და სიკვდილიანობის კვლევის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებები

3. მიგრაცია

3.1. რეგიონებში განვითარების ცენტრების შექმნა

⁵²(დადგენილება, 2016)

- 3.2. რეგიონებში მდგრადი დასაქმების შესაძლებლობების შექმნა მათი ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად
- 3.3. იძულებით გადაადგილებული პირებისა და ეკომიგრანტებისათვის წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის პირობების შექმნა
- 3.4. დიასპორისა და საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების ადამიანური კაპიტალის ქვეყნის განვითარების პროცესში გამოყენების ხელშეწყობა
- 3.5. მიგრაციის სფეროში ჩასატარებელი კვლევები
- 4. მოსახლეობის სტრუქტურა და მოსახლეობის დაბერება
 - 4.1. შრომის ბაზრების ადეკვატური რეაგირება მოსახლეობის სტრუქტურასა და მოსახლეობის დაბერებაში მიმდინარე ცვლილებებზე
 - 4.2. ყველა ასაკის ადამიანის ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათი მონაწილეობა საზოგადოების განვითარებაში
 - 4.3. გაუმჯობესებული ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა მთელი სიცოცხლის განმავლობაში
 - 4.4. ასაკზე მორგებული ფიზიკური და ფსიქოსოციალური გარემოს უზრუნველყოფა
 - 4.5. შემოსავლების დაცულობისა და სოციალური დაცვის ადეკვატური ზომების უზრუნველყოფა
 - 4.6. მოსახლეობის სტრუქტურისა და მოსახლეობის დაბერების სფეროში ჩასატარებელი კვლევები⁵³

აღნიშნული კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს დემოგრაფიული პოლიტიკა . ასევე აუცილებელია მაღალმთიანი რეგიონების დემოგრაფიული კონტროლი. რადგან დემოგრაფიული დაბერების ზღვარზეა მაღალმთიანი რეგიონები შობადობა ნაკლებია და მთლიანად დაცლილია 223 სოფელი 2014 წლის მონაცემებით მთიანეთში დემოგრაფი ანზორ თოთაზის თქმით: 2002 წელს 905 სოფელში 100 კაცამდე ცხოვრობდა რაც სოფლების 24,7 პროცენტს შეადგენს , ამჟამად 1306 სოფელში 100 კაცამდე ცხოვრობს ამ სოფლების მცხოვრები მოსახლეობა დაბერებულია . ასეთ სოფლებში არაა განვითარებული

⁵³(დადგენილება, 2016)

ინფრასტრუქტურა არაა საცხოვრებლად აუცილებელი პირობები გაზი წყალი ასევე სამედიცინო დაწესებულებები და საგანმანათლებლო დაწესებულებები.

მალმთიანი რეგიონების განვითარებისთვის აუცილებელი პირობა კი არის ზუსტად საყოფაცხოვრებო პირობების გაუნჯობესება საგანმანათლებლო დაწესებულებები .

განსაკუთრებით მძიმე დგომარეობაა რაჭა-ლეჩხუმში , თუმეითი ასევე ფშავ-ხევსურეთში. რაჭაში 1939 წელს 67 ათასი კაცი ცხოვრობდა ახლა კი მხოლოდ 16,6 ათასი კაცი ცხოვრობს .

ასეთივე სიტუაციაა როგორც ქვემო ისე ზემო სვანეთში 2014 წლის სვანეთში 13 702 კაცი ცხოვრობდა.

როგორც აღვნიშნეთ ზემოთ საქართველოში ყველაზე ხალხმრავალი რეგიონი არის იმერეთი 1989 წლის მონაცემებით 767 000 კაცი ცხოვრობდა 2002 წლის მონაცემებით 700 000 მდე შემცირდა ხოლო 2014 წლის მონაცემებით 534 000 ადამიანი , ასე რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში 233 000 კაცით დაიკლო მოსახლეობამ. სამეგრელო ზემო სვანეთის მოსახლეობა 135 000 კაცით შემცირდა, კახეთის 89 000 კაცით, გურიას რაც შეეხება 30 000 კაცით.

ანუ ამ მონაცემებით სათქმელია რომ რეგინალური დემოგრაფიული პოლიტიკა უდაოდ გასატარებელია, რათა კვლავ არ გაგრძელდეს გაუსახლურება სოფლების და მაღალმთიანი რეგიონების. ინფრასტრუქტურა , სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებების ამუშვება მაღალმთიან რეგიონებში გაიმოიწვევს მოსახლეობის შენარჩუნებას .

რადგან საქარველო ტურიზმის ჭრილში ძალიან მიმზიდველი მრავალფეროვანი და ლამაზი ქვეყანაა განსაკუთრებით მიმზიდველია ის მაღალმთიანი რეგიონები რომლებიც დაცლილია და გაუსახლურებული მთავრობას მართებს დიდი ყურადბა მზგავსი ადგილების ასაღორძინებლად. ტურისტური მარკეტინგი ადვლად მოახდენს მზგავსი ტერიოტრიების აღმშენებლობას და ფართო ადუდიტორიის მიზიდვას ტურისტულად და შესაძლებელია ადგილები სადაც ოდესღაც სახლობდა მოსახლეობა კვლავ დაუბრუნდეს ადგილმამულებს და გააგრძელონ ცხოვრება.

დიდი ყურადღებაა დასათმობა განათლების ხარისხის ასევე სოციალური კუთხით და ყველაზე მთავარი შობადობის მატებაა ქვეყანას ესაჭიროება 3 ბავშვი და მეტი რომ არ მოხდეს დემოგრაფიული კატასტროფა რაზეც მიუთითებს პროგნოზები საქართველოს მოსახლეობის .

3.1 დემოგრაფიული პოლიტიკის არსი და მისი გატარების აუცილებლობა

როგორც აღვნიშნეთ ზემოთ დემოგრაფიული პოლიტიკა ესააი ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულა დემოგრაფიული პროცესების ისეთი რეგულირებისაკენ, რომელიც გამოდინარეობს საზოგადოების მოთხოვნებიდან.

საქართველოში როგორც აღვნიშნეთ მიდინარეობს დემოგრაფიული პოლიტიკა . ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საქართველოში აქტიურადაა გასატარებელი შობადობისკენ მიმართული პოლიტიკა და ასევე საერთაშორისო მიგრაციისკენ , ასევე შიდა მიგრაციებიც საკონტროლოა ქვეყანაში, პორველ რიგში დემოგრაფიულ ოლიტიკაში მოიაქრება შობადობის პრობლემა.

ჩვენს ქვეყანაში შობადობა ყოველწლიურად იკლებს წინა წლებთან შედარებით. რაც გამოწვეულია ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით.

ქვეყანაში ეკონომიკის ზრდაზე პირდაპირ გავლენას ახდენს მოსახლეობის მატება. ,მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა იწვევს, შრომისუნარიანი ასაკის ადამიანთა რაოდენობის ზრდას. ხოლო მოსახლეობის რაოდენობის შემცირება კი აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას. გარდა მოსახლეობის რაოდენობისა დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურაც. ასევე შობადობის შემცირება მოსახლეობის დაბერებას გამიწვევს.

2014 წელს საქ სტატის მონაცემებით 65 წლისა და უფროსი ასაკის, მოსახლეობის წილი საქართველოდ მოსახლეობის 14,3 პროცენტს შეადგენდა , 80 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 3,1 პროცენტს. 1989 წელს ხანდაზმულთა წილი საქართველოს მთლიან მოსახლეობაში შეადგენდა 8,8 პროცენტს, 2002 წელს 13,3 პროცენტს. გაეროს პროგნოზის თანახმად 65 წლისა და უფროსი ასაკის პირების წილი მთლიან მოსახლეობაში მიაღწევს 18,9 პროცენტს 2030 წელს (732 000 პირი) და ეს მაჩვენებელი 25,3 პროცენტამდე გაიზრდება 2050 წლისათვის (880 000 პირი). ეს იმას ნიშნავს, რომ ველი მეოთხე ადამიანი 65 წლის და უფროსი ასაკის იქნება. დღევანდელი მოსახლეობის რაოდენობა გაორმაგდება 2050 წლისათვის მიაღწევს 260 000ს. საქართველოს რეგიონებში მაგ: აჭარაში ხანდაზმულთა წილი შეადგენს 11,0 პროცენტს, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ეს ჯგუფი მოსახლეობი 28,3 პროცენტს. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის თანახმად ხანდაზმულთა დამოკიდებულების კოეფიციენტი შეადგენს 21,3 პროცენტს, რაც ნიშნავს, რომ ერთ ხანდაზმულზე მოსახლეზე სამუშაო ასაკის დაახლოებით ხუთი პირი მოდის. პროგნოზის თანახმად, 2030 წლისათვის აღნიშნული თანაფარდობა გაიზრდება 29,7 პროცენტამდე, ხოლო 2050 წლისათვის 42,8 მდე. ანუ საქ სტატის ამ მონაცემებიდან უდაოდ გასატარებელია შობადობის პოპულარიზაციის პოლიტიკა.⁵⁴

აუცილებელია ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებების გატარება ,

3.2

საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებათა მიმოხილვა.

⁵⁴(ბარტ დე ბრუნე, 2017)

საქართველოში და ზოგადად დემოგრაფიული პოლიტიკის უმთვესი მიზანი როგორც აღვნიშნეთ გახლავთ ბავშვთა შობის პოლიტიკის დანერგვა . პირველი აუცილებელი პირობაა ოჯახებში განწყობის ჩამოყალიბება და შესაბამისი პირობების მომზადება რათა შობადობის დონემ მოიმატოს.

განწყობა რომელიც ბავშვს თანდაყოლილი აქვს დაბალი ასაკიდან ანუ გოგონას რომელიც ჯერ კიდევ პატარაა უკვე ჩამოყალიბებული აქვს სურვილი რამდენი შვილის ყოლა სურს . რადგან რეპროდუქციულ განწყობას და ქცევას დიდი ნმიშვნელობა აქვს შობადობის მატებაში .

მიზანშეწონილია რომ სკოლის პროგრამასი დემოგრაფიული საკითხები იქნას შეტანილი და ბავშობიდანვე იქნას განწყობა შექმნილი იმ თაობისთვის რომელიც სამომავლოდ განწობას გადაიტანს ქცევაში.

რეპროდუქციული ქცევა - არის ქორწინებაში ან ქორწინების გარეშე ნებისმიერი რიგითობის ბავშვის გაჩენასთან ან გაჩენაზე უარის თქმასთან დაკავშირებული პიროვნების მოქმედების, ურთიერთობის და ფსიქიკური მდგომარეობის სისტემა. ტერმინი „რეპროდუქციული ქცევა“ ემოციურად ნეიტრალურია, არ შეიცავს შეფასებით ელფერს, ეკუთვნის ყველა ინდივიდსა და ქორწინებით წყვილს, არა მარტო მათ ვინც შეგებულად გეგმავს თავისი ოჯახის ზომას, არამედ იმათაც, ვისაც არ სურს ასეთი დაგეგმვა(გაუცნობიერებლად ან სრულებით შეუგნებლად). რეპროდუქციული ქცევა წარმოადგენს პიროვნების ან ადამიანთა ჯგუფის ბავშვების გაჩენასთან დაკავშირებული საერთო ქცევის ნაწილს. (ბორისოვი, 1999)

აღნიშნულ თავში მსურს ამგალითად მოვიყვანო ახალგაზრდებში ჩატარებული კვლევა რომელიც 2019 წლესაა შესრულებული და ჩატარებული ივ. ჯავახიშვილის დემოგრაფიის მაგისტრატურის სტუდენტების მიერ .

კვლევის ამოცანაა იყო რა რაოდენობის შვილის ყოლა არის სტუდენტებისთვის სასურველი და რამდენი შვილის ყოლის მოლოდინი და უნარი აქვთ მათ ამჟამინდელ პირობებში.

რადგან საკვლევი თემა თემა გახლავთ ახალგაზრდობის რეპროდუქციული ქცევის და განწყობის შესწავლა. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ 16-დან 50 წლამდე რეპროდუქციულ ასაკში მყოფი მოსახლეობა. კვლევის ადგილი - ინტერნეტ სივრცეში მოხდა კითხვარის ჩაშვება. კვლევის ინსტრუმენტი შემუშავდა 2018 წლის დეკემბერში და საველე სამუშაოები დაიწყო 4 იანვრიდან. კვლევა შეწყდა 31 იანვარს და გამოიკითხა 134 ახალგაზრდა, ამათგან - 91 ქალი და 43 მამაკაცი.

მონაცემების დამუშავება მოვახდინეთ GOOGLE DOCS და ექსელის საშუალებით შემაჯამებელი ცხრილების აგების სახით..

ჩვენი კვლევის მთავარი მიზანი იყო გაგვეგო რეპროდუქციული განწყობა და ქცევა ახალგაზრდობაში, განსხვავება ბავშვთა სასურველ და მოსალოდნელ რაოდენობას შორის. რაშიც, ვფიქრობთ მივიღეთ პასუხი, რისი მემუობითაც შეგვიძლია დასკვნის გამოტანა თუ რამდენი შვილის ყოლის სურვილი და შესაძლებლობა აქვთ ახალგაზრდა მოსახლეობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოიკითხა 134 ადამიანი ამათგან 91 ქალი და 43 მამაკაცი. გამოკითხულთა კლასიფიცირება მოხდა სქესის მიხედვით და დაიყო ასაკობრივ ჯგუფებად(15-19, 20-24, 25-29, 30+), რაც უფრო თვალნათლივ გვიჩვენებს რომელი სქესისა და რომელი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის გამოკითხვა მოხდა.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კვლევაში მონაწილეობა უმეტესწილად მიიღეს 15-19, 20-24, და 25-29 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა. რესპოდენტთა 69,7%-ს წარმოადგენდნენ ქალები. ოჯახური მდგომარეობა შემდეგნაირად გადანაწილდა: დასაოჯახებელი - 60,8%, დაოჯახებული - 34,6%, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი - 0,8%, ქვრივი - 0%, განქორწინებულ/გაშორებული - 3,8%. 78.4% ჰყავს 1 შვილი მაინც (1 შვილი - 7,5%, 10,4%, 3 და მეტი - 5,2%), 21,6%-ს არ ჰყავს შვილი.

შობადობაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს რელიგია, ეკონომიკური მდგომარეობა დასაქმებასთან ერთად. გამოკითხულთა 93,9% მართმადიდებლობის აღმსარებელია, მუსულმანი - 1,5%, სხვა - 4,6%. დასაქმებულია 66,2%, დაუსაქმებელი - 23,3%, დროებით დასაქმებული - 6,8%, არასდროს უმუშავია 3,8%-ს.

შობადობის დონეზე მოქმედებს ასევე განათლების დონე, რესპოდენტთა 41,7% ბაკალავრიატის სტუდენტია, 30,3% მაგისტრატურის, საშუალო განათლება - 11,4, არ იმყოფება განათლების არც ერთ საფეხურზე - 13,6%.

იმისთვის, რომ მოხდეს მარტივი აღწარმოება(ერთმა თაობამ უბრალოდ ჩანაცვლოს მეორე თაობა), საჭიროა შობადობის ჯამური კოეფიციენტი(რამდენ ბავშვს აჩენს საშუალოდ ერთი ქალი)იყოს 2,6, ანუ 100-მა ქალმა უნდა გააჩინოს 2,6 ბავშვი, 2,6-ზე მეტი მაჩვენებელი უკვე უზრუნველყოფს გაფართოებულ აღწარმოებას, ანუ მომავალი თაობა უფრო მეტი იქნება, ვიდრე წინა. საინტერესოა რა არის საურველი და მოსალოდნელი ბავშვთა რიცხვი რესპოდენტებისთვის. კითხვაზე თუ რამდენი შვილის ყოლას ისურვებდნენ თუ არ ექნებათ არანაირი დაბრკოლება, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: არც ერთი - 0%, 1 - 2,2%, 2 - 14,9%, 3 - 43,3%, 4 და მეტი - 37,3%. კითხვაზე, თუ რამდენი შვილი ყოლა შეუძლიათ მათ არსებული მდგომარეობით 48,9%-მა უპასუხა, რომ 1 ბავშვი, 2 ბავშვი - 30,8%, 3 და მეტი - 18,8%, არც ერთი - 1,5%. სასურველ ბავშვთა რაოდენობის ხელისშემშლელ ფაქტორად 29,4 % ასახელებს ეკონომიკურ მდგომარეობას, ბავშვზე ზრუნვაზე დამხმარე ადამიანს - 1,5%, დასაქმებულობას - 2,3%, ხოლო 66,8% სამივე ფაქტორს ასახელებს.

კითხვაზე რამდენი ბავშვი მიგაჩნიათ საჭიროდ ოჯახში რომ არ მოხდეს დემოგრაფიული კატასტროფა საქართველოში რესპოდენტთა 86,5%-მა უპასუხა 3 და მეტი, ხოლო 13,5%-მა 2 ბავშვი. ამ კითხვაზე პასუხმა აჩვენა, რომ მოსახლეობის უმეტესობა აცნობიერებს, რომ დემოგრაფიული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად საჭიროა 3 და მეტი ბავშვის ყოლა, ამას ადასტურებს ის, რომ 73,5%-მა უპასუხა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას საქართველოში არსებულ დემოგრაფიულ სიტუაციაზე. ხოლო 94% მიიჩნევს, რომ თითოეული ჩვენგანის ვალია იზრუნოს დემოგრაფიულ

მდგომარეობაზე.

გამოკითხულთა 97% პასუხობს, რომ მათთვის მნიშვნელობა არ აქვს ბავშვის სქესს(დარჩენილი 3%-დან უმრავლესობა მიუთითებს, რომ მათთვის სასურველია ბიჭი), რაც გვაფიქრებინებს, რომ უახლოეს მომავალში აბორტები სელექციური მიზნით წარსულს ჩაბარდება. აბორტი მიუღებელია 87%-სთვის.

საბოლოო ჯამში აღნიშნული კვლევა დასკვნის სახით შემდეგნაირად გამიუყურება:

კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობას გააჩნია დემოგრაფიული ცოდნა და მათ აბსოლუტურ უმრავლესობას გააზრებული აქვს საკუთარი ვალი ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობასთან მიმართებით. მოსახლეობა მიიჩნევს, რომ დემოგრაფიული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად საჭიროა 3 და მეტი ბავშვის ყოლა. მოსახლეობა უარყოფითადაა განწყობილი აბორტის მიმართ და იმის გათვალისწინებით, რომ დიდი ნაწილისთვის მნიშვნელობა არ აქვს ბავშვის სქესს, მომავალში დიდი ალბათობით აღმოიფხვრება სელექციური აბორტის პრობლემა. კვლევის მთავარ მიზანთან დაკავშირებით - რა განსხვავებაა სასურველ და მოსალოდნელ ბავშვთა რაოდენობას შორის, გაირკვა, რომ აბსოლუტური უმრავლესობა ისურვებდა 3 და მეტ შვილს, ხოლო ეკონომიკური მდგომარეობისა და დასაქმების პრობლემების გამო მათ უმეტესობას 1 შვილი ყოლა შეუძლია. ეს პრობლემა საგულისხმოა საქართველოს ხელისუფლებისთვის, სასურველია გაგრძელდეს ანალოგიური კვლევა პროფესიულ დონეზე მომავალში, რათა დემოგრაფიული პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავებისას ნათელი გახდეს მერამდენე ბავშვის ყოლა უნდა გახდეს წასახალისებელი ფულადი თუ სხვა რაიმე მექანიზმების მეშვეობით.

3.3

დემოგრაფიული პოლიტიკისცალკეული ღონისძიებები

ქვეყნის დემოგრაფიული პოლიტიკის ცალკეული ღონისძიებებია: დაავადებათა და მოკვდაობის შემცირება სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის კონტროლი. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს დედათა და ბავშვთა, მოზარდების, ორსული ქალების ჯანმრთელობის დაცვა, პათოლოგიით დაზარალებული ბავშვების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა, გინეკოლოგიური და პედიატრიული სამსახურების გაუმჯობესებით ახალდაბადებულთა ჯანმრთელობის გამტკიცება, პიროვნების თვითმოვლითი ქცევის, ოჯახის სანიტარული კულტურისა და ჰიგიენური აღზრდის ღონის ამალღება, მოზარდი-ახალგაზრდობის სწორი სქესობრივი აღზრდა.⁵⁵

ამის მისაღწევად აუცილებელია მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მოქმედი ბუნებრივი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და მორალური ფაქტორების სრულად გამოყენება, ჯანდაცვის ორგანოების პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერება, მედიცინისმატერიალურ-ტექნიკური ბაზის უახლესი აპარატურით, მედიკამენტებითა და სხვა საშუალებებით მომარაგება, საკურორტო, სპორტული და გამაჯანსაღებელი ობიექტების ქსელის გაფართოება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა და ეკოლოგიური ფაქტორის გათვალისწინება სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო ობიექტებისა და სხვათა პროგრამების ამოქმედებისას. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის გამტკიცებისათვის მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რეგიონური თავისებურებები. დედისა და ბავშვის პათოლოგიაზე მაღალი რისკის ქალებისათვის უნდა ჩამოყალიბდეს რეგიონული სარაიონთაშორისო პერინატალური და დღენაკლულ ბავშვთა მკურნალობის ცენტრები; შემუშავდეს ბავშვთა განვითარების ერთიანი უნივერსალური ისტორია და დედისა და ბავშვის პასპორტი, რომლებშიც შეტანილი იქნება ოჯახის მატერიალური საყოფაცხოვრებო პირობები, სამედიცინობიოლოგიური და სოციალური რისკის ფაქტორები, აღნიშვნები დიფერენციული დისპანსერიზაციისა და გაჯანსაღების შესახებ. მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს და გაძლიერდეს ჩვილთა უხშირესი პათოლოგიისა და მოკვდაობის ძირითადი მიზეზების – პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობების განვითარების თანდაყოლილი ანომალიების, დეფორმაციების და ქრომოსომული ანომალიების,

⁵⁵(სულაბერიძე, 2015)

სუნთქვის ორგანოების დაავადებების – პროფილაქტიკური ღონისძიებები. ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის პროგრამაში აუცილებელია შეტანილ იქნეს ცალკეულ მიმართულებებად: პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერება გინეკოლოგიური დაავადებებისა და ამ მიზეზით გამოწვეული შრომისუნარობის შესამცირებლად; არასასურველი ორსულობის, აბორტების პროფილაქტიკა; ორსულ ქალთა სოციალური უფლებების დაცვა. ამ მიზნით ქმედითი ზომების მიღება ნაყოფის პერინატალური დიაგნოსტიკის გამოვლენილი პათოლოგიის კორექციისათვის, ან საჭიროების შემთხვევაში, ორსულობის შეწყვეტისათვის; მშობიარობა, როგორც წესი, პედიატრის თანდასწრებით.⁵⁶

საგანგებო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სამთავრობო ღონისძიებებს დედათა და ბავშვთა კვების გაუმჯობესების შესახებ, რათა არ გაუარესდეს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა და შესაბამისად მოსახლეობის აღწარმოების ძირითადი კომპონენტები.⁵⁷

მიმართულების მიზანია: ქორწინების სასურველიგარემოს შექმნა; ახალგაზრდობის სოციალურფსიქოლოგიური მომზადება ქორწინებისათვის; მტკიცე ოჯახის ფორმირება.თანამედროვე ოჯახისა და ქორწინების ძირითადი თავისებურება, წარსულთან შედარებით, გამომდინარეობს დემოკრატიისა და პიროვნების თავისუფლების მიღწეული დონიდან. მათგან გამომდინარე ოჯახი ჩამოყალიბდა მამაკაცისა და ქალის ნებაყოფლობითი ქორწინების საფუძველზე შექმნილ თანასწორთა ერთეულად. ამჟამად მთავარია ოპტიმალური პირობების შექმნა მდგრადი და მტკიცე ოჯახების ფორმირებისა და განვითარებისათვის.⁵⁸

უნდა გავითვალისწინოთ და შესაძლებლობის ფარგლებში გადავჭრათ ის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება ოჯახების ნუკლეარიზაციასთან დაკავშირებით. ყურადღება უნდა გამახვილდეს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ახალგაზრდა ოჯახების სოციალურ-ფსიქოლოგიურ ადაპტაციაზე, სოციალურეკონომიკურ პრობლემებზე, მათ შორის დასაქმებაზე.⁵⁹

⁵⁶(სულაბერიძე, 2015)

⁵⁷(სულაბერიძე, 2015)

⁵⁸(სულაბერიძე, 2015)

⁵⁹(სულაბერიძე, 2015)

ქორწინების ოფიციალურ რეგისტრაციად, სახელმწიფო რეგისტრაციასთან ერთად, აღიარებულ უნდა იქნეს რელიგიური ქორწინებაც. სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში შეტანილ უნდა იქნას სასწავლო კურსი ოჯახის საკითხებზე.⁶⁰

მოსახლეობის მიგრაციის რაციონალიზაცია მიზანია დაარეგულიროს ქვეყანაში უმართავი გარე და შიგა მიგრაციული პროცესები. მიგრაციის რაციონალიზაციის პროცესში უწინარესად წინ უნდა წამოიწიოს მიგრაციის საბაზრო მექანიზმებით მართვამ. ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს რეგიონებში საოჯახო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, სამუშაო ადგილების შექმნასა და მათში ქალაქური ცხოვრების წესის ფართოდ განვითარებაზე. შიგა მიგრაციის რაციონალიზაცია უნდა წარიმართოს პატარა და საშუალო ქალაქების სწრაფ განვითარების ფონზე. საოჯახო ბიზნესში ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული კრედიტის გაცემის ფორმები. უნდა ამუშავდეს იპოთეკური ბანკი და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მთიანი რეგიონებიდან მიგრაციული პროცესების შეჩერებას. ამ მიზნით გამოყენებულ უნდა იქნას საკურორტო და რეკრეაციული ბიზნესი. არსებული სანატორიუმების, პანსიონატების და დასასვენებელი სახლების ქსელის ამოქმედებასთან ერთად, ხელი უნდა შეეწყოს საოჯახო სასტუმროების განვითარებას, მცირე და საშუალო ბიზნესის სხვა სახეებთან ერთად ყურადღება უნდა გამახვილდეს სამთო ტურიზმსა და სამონადირეო კომპლექსების შექმნაზე. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება უნდა დაეფუძნოს ადგილობრივი სიმდიდრეების ათვისებას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდობის ადგილზე დასაქმებას. გარე მიგრაციის შეჩერებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ქვეყანაში სამუშაო ადგილების ფართო ქსელის შექმნას. სახელმწიფო მიგრაციის პოლიტიკის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის უშიშროების დაცვას. უნდა ამოქმედდეს იმიგრანტთა მიღების კვოტური სისტემა. ამასთან, სრულყოფილ უნდა იქნას სასაზღვრო და სავიზო რეჟიმი. გარე მიგრაციას დაარეგულირებს უცხოეთის ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულებები სამუშაო ძალის ურთიერთდასაქმების თაობაზე. სახელმწიფომ უფრო აქტიურად უნდა

⁶⁰(სულაბერიძე, 2015)

იზრუნოს უცხოეთში წასული თავისი მოქალაქეების პოლიტიკური და სოციალური უფლებების დაცვაზე.⁶¹

შობადობის ოპტიმიზაციის მიმართულება

1. ღონისძიებათა კომპლექსი

“ბავშვების ყოლის მოთხოვნილების” საზოგადოებრივად საჭირო დონისა და შესაბამისი განწყობის ფორმირება. ღონისძიება

1. სკოლის პროგრამაში (დაწყებული 1 კლასიდან),

მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში, იმ სახის ცვლილებების შეტანა, რომელიც უზრუნველყოფს მრავალბავშვიანი – 5 და მეტი (13 წლის ასაკამდე) და საშუალობავშვიანი – 3-4 (13 წლის ასაკიდან) ოჯახის დადებითი მაგალითებით დახასიათებას;

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სასკოლო ასაკის მოსახლეობისათვის საშუალობავშვიანი ოჯახის დადებითი მაგალითების შემცველი ინფორმაციის სისტემატიური მიწოდება;

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ახალგაზრდობისათვის საშუალობავშვიანი ოჯახის დადებითი მაგალითების შემცველი ინფორმაციის სისტემატიური მოწოდება.

2. ღონისძიებათა კომპლექსი

ბავშვების ყოლის მოთხოვნილების” რეალიზაციის პირობების სრულყოფა. სხვადასხვა სახის დახმარებები და პირობები მიმართული ბავშვების სასურველი რაოდენობის ყოლისაკენ.

2.1. ღონისძიებათა კომპლექსი

რეპროდუქციული ჯანმრთელობა – სამედიცინო მიზეზებით გამოწვეული უნაყოფო ქორწინებათა მკურნალობა და პროფილაქტიკა.

⁶¹(სულაბერიძე, 2015)

ღონისძიება

1. რეპროდუქტოლოგიური კაბინეტების ქსელის გაფართოება და სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა. მათი უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით;
2. ექიმ-რეპროდუქტოლოგთა კადრების მომზადება
3. სააფთიაქო ქსელის უზრუნველყოფა უშვილო ქორწინებაში მყოფ წყვილთა მკურნალობადიასგნოსტიკისათვის საჭირო მედიკამენტებით;
4. ბავშვთა და მოზარდთა შორის ადრეული რეპროდუქციული ანომალიების გამოვლინების მიზნით პროფილაქტიკური გასინჯვები.

2.2. ღონისძიებათა კომპლექსი რეპროდუქციული ჯანმრთელობა _ ოჯახის

დაგეგმვის საშუალებების გავრცელება და ბრძოლა ხელოვნური აბორტის წინააღმდეგ.

ღონისძიება⁶²

1. არასასურველი ორსულობის თავიდან აცილების მიზნით, რეპროდუქტოლოგიის კაბინეტებისა და ქალთა კონსულტაციების მიერ ფართო მუშაობის აშლა აბორტის წინააღმდეგ, კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდების დანერგვისა და

პროპაგანდის გზით;

2. დისპანსერული დაკვირვება და პატრონაჟი იმ ქალებზე, რომლებიც იყენებენ ამა თუ იმ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებას;
3. სქესისა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საგნის სწავლება სკოლაში მე-10 კლასიდან.

2.3. ღონისძიებათა კომპლექსი მატერიალური დახმარება.

ღონისძიება⁶³

⁶²(სულაბერიძე, 2015)

⁶³(სულაბერიძე, 2015)

1. ერთჯერადი მატერიალური დახმარება ორსული ქალებისათვის, რომლებმაც განაცხადეს თავისი ორსულობის შესახებ და გაიარეს რამდენიმე სამედიცინო შემოწმება;

2. ორსულობის შემდგომი მატერიალური დახმარება. პირველად ბავშვის სიცოცხლის 6 დღის შემდეგ, მეორედ ბავშვის სიცოცხლის წლისთავზე და ასევე

2 წლის ასაკის მიღწევას. რიგით მე-3 ბავშვის შემთხვევაში თანხა ორმაგდება. მრავალნაყოფიანი მშობიარობისას დახმარებათა სიდიდე იზრდება;

3. ყოველთვიური დახმარებები. დახმარებათა სიდიდე იზრდება ყოველი შემდგომი ბავშვის ყოლისას. დახმარებები გაიცემა ბავშვის 16 წლის ასაკის მიღწევამდე, ხოლო სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, მისი უწყვეტობისას, 23 წლის

ასაკამდე;

4. ოჯახებს, რომლებსაც 3 წლის ასაკამდე ერთი ბავშვი მაინც ჰყავთ, ღებულობენ ყოველთვიურ დამატებით დახმარებას.

2.4. ღონისძიებათა კომპლექსი დაბალი ასაკის ბავშვების მყალი დასაქმებული დედების ხელშეწყობა.

ღონისძიება

1. ბავშვისა და ბაღების სამუშაო დროის განრიგის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც შეესაბამება და ხელს შეუწყობს მცირეწლოვანი ბავშვების მყალი დასაქმებული დედების სამუშაო დროის განრიგს

2. საჯარო სკოლების სამუშაო დროის განრიგის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც შეესაბამება და ხელს შეუწყობს დაბალი ასაკის ბავშვების მყალი დასაქმებული დედების სამუშაო დროის განრიგს თითოეულ ღონისძიებას თან ახლდა შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები.⁶⁴

(თოთაძე, საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა, 2018)

⁶⁴(სულაბერიძე, 2015)

დასკვნა

ნაშრომი შემდეგნაირად შეგვიძლია დავახასიათოთ და საბოლოო სახით შევაჯამოთ :

დემოგრაფიული განვითარების პოლიტიკა და პერსპექტივა არც ისეთ ცოტა დროს მოიტხოვს . ქვეყნის მოსახლეობის განვითარების პოლიტიკას დიდი დრო და სწორი პოლიტიკა ესაჭიროება . ის პოლიტიკა რაც ქვეყანას აქვს შემუშვებული და რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ სწორია მაგრამ ამავდროულად ამისათვის საჭიროა მოსახლეობის წახალისება და დაინტერესება აღნიშნული მდგომარეობით. მიმაჩნია და აუცილებელია ყველა მოქალაქეს ქონდეს ინფორმაცია დღევანდელ მდგომარეობაზე მისათვის აუცილებელია სატელევიზიო გადაცემაში აქტუალურად ჩართოს დემოგრაფიული საკითხები. რადგან საქართველოს მოსახლეობის ყველაზე ამდელი პროცენტული ნაწილი ტელევიზიის საშუალებით იღებს ინფორმაციას აუცილებელია სატელევიზიო რგოლების დამზადება დღევანდელ მდგომარეობაზე და სამომავლო პერსპექტივებზე.

ასევე ინტერენტ სივრცეში მოხდეს მზგავსი სახის რეკლამების გავრცელება და ახალგაზრდა ტაობებისთვის ინფორმაციის მიწოდება . ისევე როგორც სკოლებში ინტერენტ სივრცეში დემოგრაფიული ინფორმაციის მიწოდება გამოიწვევს ცნობიერებაში და განწყობაში შობადობაზე ფიქრს.

აუცილებელია რეგიონალური პოლიტიკა და სოფლის მეურნეობის აღორძინება რადგან ყველა კუთხე სიცოცხლით იყოს სავსე.

აუცილებელია აბორტების კონტროლი და გოგონათა შობის დასტაბილურება.

ჯანდაცვის სისტემა საქართველოს ყველა რეგიონში . სახლემწიფო პროგრამები ჯანდაცვის ყველა სფეროში. მოსახლეობის ჯანმრტელობის კონტროლი და ზრუნვა ყველა მოქალაქის სიცოცხლეზე.

სწორი პოლიტიკაა ამ ბოლო დროს გატარებული თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელების ფასის ზრდასთან შესახებ. მზგავსი სახის ნივთიერებები ყველაზე დიდ

ზიანს უტანს ჯანმრთელობას და დამლუპველია აუცილებელია კანონის გამკაცრება მწველთა მიმართებაში.

უნდა მოხდეს ტურისტული აღმშენებლობა რაჭა-ლეჩხუმის , ქვემო სვანეთის, გურიის, ზემო მსვანეთი დღს დღეისობით უკეთეს მდგომარებას განიცდის ვიდრე რაჭა. ჩვენი ქვეყნის სილამაზე პიარის წინა პირობაა ტურისტულის მხრივ.

მიგრაციის კონტროლი როგორც აღვნიშნეთ ერთ- ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა ჩვენი ქვეყნის.

აღნიშნული და სხვა მრავალი პრობლემა რომელიც დროთა განმავლობაში უნდა დარეგულილდეს. რადგან ჩვენმა ქვეყანამ თავისი ძლიერი ისტორიით, გეოგრაფიული მდგომარეობით და მსახლეობის გამორჩეულობით უნდა იცოცხლოს მრავალი მილიონი ათასწლეულების მანძილზე და ამისათვის ჩვენ დღევანდელ თაობას გვაქვს ვალი რათა მხოლოდ ჩვენს კეთილდღეობაზე კი არა მომავალ თაობებზეც ვიზრუნოთ და შევინარჩუნოთ ჩვენი ლამაზი ერი.

გამოყენებული ლიტერატურა

- <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia>. (2019).
მოსახლეობა და დემოგრაფია. თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
- ბარტდებრუნი, მ. ჭ. (2017). *მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულების საქართველოში*. თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
- დადგენილება, ს. პ. (2016). *საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია*. თბილისი: საქართველოს პარლამენტი.
- ვადაჭკორია, გ. წ. (2003). *საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები*. თბილისი: "პოლიგრაფ +".
- თოთაძე, ა. (2016). *დემოგრაფიული ვითარება საქართველოში და დემოგრაფიული განვითარების პროგრამა*. თბილისი: "უნივერსალი".
- თოთაძე, ა. (2018). *საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა*. თბილისი: პრინტავენიუ.
- ლორთქიფანიძე, ვ. (2018). *დემოლოგია*. თბილისი: გამომცემლობა საჩინო.
- პროგრამა, ს. რ. (2018-2021). *საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა*. თბილისი: საქართველოს დეგიონალური და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.
- სულაბერიძე, გ. წ. (2015). *დემოგრაფიის საფუძვლები*. თბილისი.
- წულაძე, გ. (2013). *საქართველოს დემოგრაფიული ფერსპექტივები 2015-2300*. თბილისი.
- ჰაკერი, რ. (2017). *მოსახლეობის დინამიკა საქართველოში*. თბილისი: შპს "ვესტა".